ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი სტიპენდიის კონკურსის გამარჯვებულები

ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის ფარგლებში, თსუ-ს და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი წარმატებით გაიარეს და კვლევითი სტიპენდია მოიპოვეს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის შემდეგმა დოქტორანტებმა: **თამარ გეგეშიძემ** და **თათია ქვრივიშვილმა**. სტიპენდიანტებს მიმდინარე წელს, ექვსი თვის განმავლობაში სრულფასოვნად დაუფინანსდებათ სადოქტორო კვლევითი საქმიანობა გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი/ იენის უნივერსიტეტი).

ასევე, პროექტის ფარგლებში, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტები, ხატია თანდილაშვილი და გიორგი მირიანაშვილი, 2016 წლიდან სარგებლობენ გრძელვადიანი სადოქტორო კვლევითი სტიპენდიით. პროექტის ხელმძღვანელები არიან - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი და იენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ედვარდ შრამი.